ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის

საკრებულო

ინფრასტრუქტურის საკითხთა

კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N12

5 აგვისტო

2022 წელი

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს V მოწვევის

საკრებულოს

ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის წევრთა

სარეგისტრაციო სია

ქ.სამტრედია

5 აგვისტო, 2022 წელი

1. ტარიელ ცომაია - (კომისიის თავმჯდომარე) -
2. დავით ჯანელიძე -
3. ჯონი ახობაძე -
4. გიორგი გაგუა -
5. მანანა სირბილაძე -
6. პაატა კოხრეიძე -
7. ემზარ შუბლაძე -
8. ავთანდილ თადუმაძე -
9. ქეთევან კუტალაძე -
10. გივი ჯულაყიძე -
11. ვალერიანე ფოცხვერია -
12. ვაჟა სტურუა -

სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს

ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის

სხდომის

ოქმი N12

სამტრედია 5 აგვისტო.2022 წელი.

მიმდინარე წლის 5 აგვისტოს სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ტარიელ ცომაიას თავმჯდომარეობით ჩატარდა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის სხდომა.

სხდომას ესწრებოდა: ტარიელ ცომაია, მანანა სირბილაძე, ჯონი ახობაძე, პაატა კოხრეიძე, დავით ჯანელიძე, გივი ჯულაყიძე, ვალერიანე ფოცხვერია, ქეთევან კუტალაძე.

მოწვეული სტუმარი : დიდი ჯიხაიშის ადმინისტრაციული ერთეულის მერის წარმომადგენელი - ნუგზარ ნუცუბიძე.

დღის წესრიგი:

1. ქალაქ სამტრედიის ტერიტორიაზე მდებარე ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩის სახელის ცვლილების შესახებ.

   /მომხსენებელი: ტარიელ ცომაია /

2. ინფორმაცია სამტრედიის მუნიციპალიტეტში სოფელ დიდი ჯიხაიშის I-ლი და მე-2 ქუჩების სახელდების შესახებ

   /მომხსენებელი: ტარიელ ცომაია /

3. სხვადასხვა.

კომისიის თავმჯდომარის წინადადებით, კომისიის წევრებმა (8) ხმით, კენჭი უყარეს დღის წესრიგს.

კენჭისყრის შედეგად, დღის წესრიგი (8) ხმით იქნა დამტკიცებული წარმოდგენილი სახით.

<u>დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით</u> სხდომის თავმჯდომარემ, ტარიელ ცომაიამ, კომისიის წევრებს გააცნო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2022 წლის 30 ივნისის N63-63222034 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხებოდა საკუთრების დამადასტურებელ დოკუმენტში მისამართის დაზუსტებას. კერძოდ, უძრავ ნივთებზე, უფლებათა რეესტრში N34.08.57.071 საკადასტრო კოდით (ფაღავას ქუჩა რეგისტრირებულია, როგორც ალექსანდე ყაზბეგის ქუჩა), რეგისტრირებული უძრავი ნივთის მიმდებარედ არსებული ქუჩის მოქმედი დასახელების შესახებ.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კომისიამ, საქართველოს ეროვნული არქივიდან გამოითხოვა მასალები, რომელიც ქუთაისის ცენტრალურ არქივშია დაცული. ქალაქ სამტრედიის მერიის კაბინეტის სხდომის 1996 წლის 29 თებერვლის ოქმი N3-ით (გადაწყვეტილებაN12) დასტურდება, რომ ყაზბეგის ქუჩის მონაკვეთს/რუსთაველის ქუჩიდან ჭავჭავაძის ქუჩის მონაკვეთამდე/ შეეცვალა სახელწოდება და ეწოდა ჯამბულ აკაკის მე ფაღავას სახელობის ქუჩა.

კომისიის წევრებმა იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე და აზრი გამოთქვეს.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად, ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის წევრთა (8) ხმით, მიიღეს გადაწყვეტილება, საკითხის შესახებ ეცნობოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შემდგომი რეაგირებისთვის.

<u>დღის წესრიგის II საკითხთან დაკავშირებით</u> სხდომის თავმჯდომარემ, ტარიელ ცომაიამ, კომისიის წევრებს გააცნო, ინფორმაცია სამტრედიის მუნიციპალიტეტში სოფელ დიდი ჯიხაიშის 1-ლი და მე-2 ქუჩების სახელდების შესახებ.საიდანაც ირკვევა, რომ

აღნიშნული მომართვის პასუხად,

ა) სახელდებული გეოგრაფიული ობიექტების ინფორმაციის ამსახველ ერთიან მონაცემთა ბაზაში წარმატებით აღირიცხა მონაცემი 2021 წლის 20 დეკემბრის № გ-63.632135439 განკარგულებით სახელდებული ქუჩის თაობაზე - სამტრედიის მუნიციპალიტეტში, სოფელ დიდი ჯიხაიშში, მე-15 ქუჩისათვის სახელის შეცვლისა და ვლადიმერ ჩხეიძის სახელის მინიჭების შესახებ.

ბ) 2021 წლის 20 დეკემბრის № გ-63.632135438 განკარგულებით სახელდებული ქუჩის თაობაზე - სამტრედიის მუნიციპალიტეტში, სოფელ დიდი ჯიხაიშში, 1-ლი და მე-2 ქუჩებისათვის სახელის შეცვლისა და ნიკო ნიკოლაძის სახელის მინიჭების შესახებ, სამისამართო რეესტრში რეგისტრაცია შეჩერდა და მიღებულ იქნა M22009188/3 გადაწყვეტილება ხარვეზის დადგენის შესახებ.

აღნიშნული ქუჩის სამისამართო რეესტრში რეგისტრაციის მიზნით, საჭიროა ვუზრუნველყოთ M22009188/3 გადაწყვეტილებაში მითითებული ინფორმაციის დაზუსტება.

ვალერიანე ფოცხვერია - ვფიქრობ, რომ უნდა დაევალოს, დიდი ჯიხაიშის ადმინისტრაციული ერთეულის მერის წარმომადგენელს, ბატონ ნუგზარს, რომ ზემოაღნიშნული ქუჩის მოსახლეობასთან გაიაროს კონსულტაცია, თუ საიდან დაიწყოს ქუჩის ნუმერაციის ათვლა, სამტრედიიდან თუ ხონიდან.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და აზრი გამოთქვეს აღნიშნულ საკითხზე.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად, ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის წევრთა (8) ხმით, ეთანხმება ზემოაღნიშნულს და მიიღო გადაწყვეტილება, რომ გაგრძელდეს საკითხის მოკვლევა.

ინფრასტრუქტურის საკითხთა

კომისიის თავმჯდომარე: /ტარიელ ცომაია/

სხდომის მდივანი: /ნათია დოლიძე/

სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის
საკრებულოს
ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის
სხდომის

ო ქ მ ი N12

(5 ფურცლად)

სხდომის თავმჯდომარე: /ტ.ცომაია

2022 წელ